სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/324

ქ. თბილისი

28 ოქტომბერი 2019

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატების
რეგისტრაციის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №01-05-02/22 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს დამატებითი მიღება
   - ფიზიკისა და მასალათმცოდნეობის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატებისათვის - 2 ადგილი;
   - პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატებისათვის - 1 ადგილი;
2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატობის მსურველთა რეგისტრაცია „ფიზიკისა და მასალათმცოდნეობის“ და „პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოებისათვის დაიწყება 2019 წლის 4 ნოემბრიდან 8 ნოემბრის ჩათვლით. არსებული წესის თანახმად სტუ-ის კანცელარიაში.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**